



საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის
აქტი

№ 27/00

„30“ სექტემბერი 2011

ქ. თბილისი

“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ალასანია

„30“ 09 “ 2011 წელი

ვგზ. N2

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის აქტი

(01/01/2007–01/01/2010)

სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი“

სარჩევი

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა.....	3
აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები.....	5
ფინანსური ანგარიშგება.....	7
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შემოსავალი და მიღებული დაფინანსება.....	9
შემოსავალი სწავლებიდან.....	9
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება.....	10
სამეცნიერო გრანტი.....	10
ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.....	11
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარჯები.....	16
სახელფასო ხარჯი.....	16
შესყიდვების კანონიერება და ეკონომიურობა.....	20
ფასთა კოტირებით განხორციელებული შესყიდვები.....	25
ერთ პირთან მოლაპარაკებით განხორციელებული შესყიდვები.....	25
კომუნალური გადასახადები.....	26
ძირითადი საშუალებები და მარაგები.....	27
აუდიტის აქტის გასაჩივრების წესი.....	29

შესავალი

აუდიტის საფუძველი: საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 7 ივლისის N72/43, 23 აგვისტოს N87/43 და 24 აგვისტოს N121/42 (ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ) ბრძანებები.

აუდიტის ობიექტი: სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი“ მისამართი: საქართველო, თბილისი, კოსტავას 77, 0175.

აუდიტის ჯგუფი: უფროსი აუდიტორი: ირაკლი წიწილაშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი), მთავარი აუდიტორი: ლაშა ლაშხია, აუდიტორები: ელგუჯა ბეროშვილი, პაატა ლურსმანაშვილი, ირაკლი დალაქიშვილი, ნინო კუბლაშვილი.

აუდიტის ვადა: 07/07/2010 – 11/09/2010 (დაწყება-დასრულება).

შემოკლებანი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - განათლების სამინისტრო;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - ეკონომიკის სამინისტრო;

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ;

საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი“ - სტუ;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 27 დეკემბრის N1278 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია – ბრძანება N1278;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია – ბრძანება N1321.

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ) დაარსდა 1922 წლის 16 იანვარს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის სახით, რომელსაც 1928 წელს შეუერთდა 1917 წელს დაარსებული თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო ფაკულტეტი და ჩამოყალიბდა საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, შემდეგში 1936 წლიდან – როგორც საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი, 1948 წლიდან – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ხოლო 1990 წლიდან – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არის საინჟინრო

მიმართულების უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომელიც ხელმძღვანელობს ევროპის უნივერსიტეტთა დიდი ქარტიისა და ბოლონიის დეკლარაციის პრინციპებით.

სტუ-ს მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. უნივერსიტეტის მართვის პრინციპები განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

სტუ-ს დასახული მიზნების და ამოცანების ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით, სტუდენტების, მაგისტრებისა და დოქტორანტების მიერ სწავლების საფასურის გადასახადიდან მიღებული შემოსავლებით, სამეცნიერო გრანტებით და კანონმდებლობით ნებადართული სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული სახსრებით.

სტუ-ს ძირითადი საქმიანობა

- 1) ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის აკადემიური პროგრამების, ასევე პროფესიული განათლებისა და კანონმდებლობით დაშვებული სხვა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;
- 2) სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმართვა და მეცნიერებატევადი პროდუქტის შექმნა.
- 3) საექსპერტო, დიაგნოსტიკური და საკონსულტაციო საქმიანობა;

სტუ-ს სტრატეგიული განვითარების მიმართულებები

1. საუნივერსიტეტო სწავლების ახალი მოდელი - რომელიც იქნება ინდივიდუალიზებული და ორიენტირებული ადამიანის უწყვეტ განათლებაზე მთელი სიცოცხლის განმავლობაში;
2. სამეცნიერო-კვლევითი პროექტები და მეცნიერული კვლევის კომერციალიზაცია;
3. ინოვაციურ მეთოდებზე ორიენტირებული მართვის მექანიზმები;
4. სტუ-ს სტრუქტურათა მოდერნიზაცია.

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

1. საიჯარო დებიტორული დავალიანებები

1.1. სტუ-ს მოიჯარეების საიჯარო გადასახადის დავალიანება 2010 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 276,2 ათას ლარს..... გვ. 12

1.2. შ.პ.ს. „ვილა მარა“ იჯარით აღებული შენობის წინ მდებარე მიწის ნაკვეთს რეენტებს კომერციული მიზნებისათვის (მოწყობილია ღია კაფე), ხოლო ამ მიწით სარგებლობის თანხა არ შედის შენობის საიჯარო ფასში და არ ხორციელდებოდა გადახდა. შესაბამისად, მიწის ნაკვეთი კომპანიის სარგებლობაშია უსასყიდლოდ, სულ 472 კვადრატული მეტრი..... გვ. 15

2. ადმინისტრაციის თანამშრომელთა ნორმის ზემოთ ანაზღაურებული თანხები

უნივერსიტეტში არ არსებობს სათანადო სისტემა დამატებითი ანაზღაურების შრომის შესაბამისად მისაღებად. ზეგანაკვეთური კომპენსაციები გაიცემა არა ფაქტიურად ნამუშევარი საათების მიხედვით - არამედ ხელფასის ფიქსირებული პროცენტული ოდენობით..... გვ. 17

3. უნივერსიტეტის თანამშრომელთა არასრული სამუშაო დატვირთვა

უმაღლესი სასწავლებლის საშტატო რიცხოვნობა არაეფექტიანად გამოიყენება. დიდი ოდენობით თანხები იხარჯება იმ სამუშაოს ანაზღაურებაზე, რომელიც სრულად არ ხორციელდება. სტუ-ს აუდიტის პერიოდში საშუალოდ წლიურად ჰყავს 1,637 თანამშრომელი, რომელთა შრომის ანაზღაურებამ სამი წლის განმავლობაში შეადგინა 42.7 მილიონი ლარი, რაც უნივერსიტეტის სამი წლის ჯამური ბიუჯეტის 58% შეადგენს. შემოწმების შედეგად თანამშრომლების არასაპატიო მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობა 43%-ს გაუტოლდა. სტუ-ს აკადემიური პერსონალის ნახევარი სამუშაო დროის განმავლობაში სამსახურში არ იმყოფება..... გვ. 19

4. უხარისხოდ შესრულებული სარემონტო სამუშაოები

2007-2009 წლებში სტუ-ში ჩატარებულია 6 მილიონი ლარის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები. 750,0 ათასი ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოების ერთ-ერთ ტენდერზე, უნივერსიტეტმა შეისყიდა უხარისხო სარემონტო მასალები, რაც აისახა შესრულებულ სამუშაოებზე, რომლის ნაწილი უხარისხოა და საჭიროებს ხელახალ რემონტს..... გვ. 23

5. დაცვის მომსახურებაზე გაწეული არაეკონომიური ხარჯი

არასწორად დაგეგმილი და ჩატარებული ტენდერის შედეგად სტუ-მ დაცვის მომსახურებაზე გასწია არაეკონომიური ხარჯი 166,9 ათასი ლარის ოდენობით..... გვ 24

6. ქონების არასწორი და არასრული აღრიცხვა

მოუწესრიგებელია აქტივების აღრიცხვიანობა. სასწავლებელს ხშირ შემთხვევაში არასწორად აქვს აღრიცხული მის ბალანსზე არსებული ქონება. არ არსებობს რეგულარული ინვენტარიზაციის პროცედურა..... გვ 27

სტუ-ს ფინანსური ანგარიშგება

მოგება ზარალის ანგარიშგება (2007 – 2009 წლები)

1. შემოსავლები

	2007	2008	2009
დასახელება			
შემოსავალი სწავლებიდან	12,539,245	13,512,422	16,509,375
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	6,414,189	5,387,916	5,033,826
სამეცნიერო გრანტი	237,150	490,988	1,167,535
ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	889,338	1,032,395	1,297,195
სულ შემოსავალი და დაფინანსება	20,079,922	20,423,721	24,007,931

2. ხარჯები

	2007	2008	2009
დასახელება			
სახელფასო ხარჯი	12,515,990	13,958,661	16,245,466
ოფისის ხარჯები	2,280,402	3,511,759	3,598,380
სტიპენდია	663,092	753,945	493,000
მივლინება	59,728	62,967	103,834
ტრანსპორტის შენახვის ხარჯი	66,661	71,543	57,255
ცვეთის ხარჯი		2,532,143	697,527
სხვა ხარჯები	1,867,672	1,303,079	1,869,266
სულ მიმდინარე ხარჯები	17,453,545	22,194,097	23,064,728
აქტივის შეძენა/კაპიტალური რემონტი	2,695,486	994,749	631,546

3. საბალანსო ანგარიშგება

	31/12/2007	31/12/2008	31/12/2009
დასახელება			
მიმდინარე აქტივები:			
ფული/ფულადი დოკუმენტები	4,281,562	3,615,432	4,392,174
დებიტორული დავალიანება	228,016	1,090,228	1,390,552
ნედლეული და მასალები	1,549,792	552,215	828,880
გრძელვადიანი აქტივები:			
შენობა ნაგებობები	7,596,969	8,555,213	8,112,905
მანქანა-დანადგარები	7,888,803	8,096,860	8,270,799
საბიბლიოთეკო ფონდი	8,097,545	8,112,137	8,133,385
ავეჯი და რბილი ინვენტარი	1,704,711	1,776,303	1,803,184
სატრანსპორტო საშუალებები	515,536	590,149	418,428
ძვირფასი მეტალები	83,897	83,897	83,897
სხვა ძირითადი აქტივები	-	21,546	25,346

სულ დაგროვილი ცვეთა	-	(9,028,907)	(8,877,042)
არამატერიალური აქტივები	18,534	38,161	40,587
მიწა	2,572,968	3,458,484	4,273,380
სულ აქტივები	34,538,333	26,961,717	28,896,474

პასივები:

ვალდებულებები მომსახურებიდან	8,705	15,335	45,243
გადასახდელი ხელფასი	13,523	52,018	51,927
გადასახდელი სტიპენდია	485,391	459,716	48,690
სხვა ვალდებულებები	234,573	356,329	192,402
გაუნაწილებელი მოგება	5,317,179	5,489,929	7,510,715
წმინდა ღირებულება	28,478,963	20,588,389	21,047,497
სულ პასივები	34,538,333	26,961,717	28,896,474

შენიშვნა:

სტუ-ს მიერ 2007 წელს არ მომხდარა ცვეთის ხარჯის დარიცხვა და შესაბამისად დაგროვილი ცვეთის დაანგარიშება. 2007 წლის ცვეთის ხარჯი დარიცხულია 2008 წელს.

ძირითადი ტექსტი

1. სტუ-ს შემოსავალი და მიღებული დაფინანსება

1.1 შემოსავალი სწავლებიდან

სტუ-ს შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ბაკალავრიატის და უმაღლესი პროფესიული სწავლებიდან მიღებული სახსრები, ასევე მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებიდან მიღებული შემოსავლები.

ცხრილში მოცემულია მონაცემები აუდიტის პერიოდისათვის სტუ-ს სტუდენტთა კონტიგენტის ცვლილების და რაოდენობის შესახებ:

ფაკულტეტის დასახელება	ბაკალავრ/პროფეს			მაგისტრ/დოქტორ		
	2007	2008	2009	2007	2008	2009
ფაკულტეტის დასახელება	2007	2008	2009	2007	2008	2009
ჰუმანიტარულ - სოციალური ინფორმატიკისა და მართვის სისტემები	3,760	3,154	2,525	317	241	310
სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობა	3,003	2,360	2,582	292	231	391
ქიმიური ტექნოლოგიები და მეტალურგია	1,785	1,253	942	172	241	230
ენერგეტიკა და ტელეკომუნიკაცია	1,292	1,015	703	144	83	189
სამთო გეოლოგიური სამშენებლო	1,298	845	818	314	209	158
არქიტექტურა, ურბანისტიკა და დიზაინი	663	544	508	68	59	42
	824	814	724	112	218	240
	218	155	186	32	47	69
სულ კონტიგენტი	12,843	10,140	8,988	1,451	1,329	1,629

2007 - 2009 წლებში სწავლის წლიური გადასახადი მერყეობს ფაკულტეტების და წლების მიხედვით 1,0 ათასი ლარიდან 2,2 ათას ლარამდე წელიწადში.

ცხრილი ასახავს აუდიტის პერიოდში მოქმედ წლიურ ტარიფებს ლარებში:

დასახელება	2006 - 2007	2007 - 2008	2008 - 2009	2009 - 2010
ბაკალავრიატი	1,000 - 1,500	1,000 - 1,500	1,500	1,750 - 2,250
პროფესიული	-	1,000 - 1,500	1,500	1,500
მაგისტრატურა	1,000 - 1,500	1,500 - 2,250	2,000	2,000 - 2,250
დოქტორანტურა	-	-	1,000 - 1,500	1,750 - 2,250

1.2 ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება

გარდა სწავლებიდან მიღებული შემოსავლისა სტუ-ს 2007-2009 წწ ბიუჯეტიდან დამატებით მიღებული აქვს 16,835,3 ათასი ლარი. ეს თანხა არ ასახავს სტუდენტის მიერ მოპოვებული ვაუჩერულ და სამეცნიერო გრანტებისათვის მიღებულ დაფინანსებას. ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხარჯვითი ნაწილი ნაწილდება სტუ-ს სხვადასხვა საჭიროებებზე.

იხილეთ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის სახეობა და დინამიკა მოცულობების მიხედვით:

დახასიათება	2007	2008	2009
ხელფასი	3,526,708	3,337,514	3,551,678
კაპიტალური რემონტი	2,354,501	325,369	115,794
მიმდინარე რემონტი	54,695	858,208	817,009
სტიპენდია	400,405	748,906	493,390
მივლინება	-	8,123	9,529
კომუნალური ხარჯები	21,255	14,404	14,955
ტრანსპორტის შენახვის ხარჯი	10,639	12,464	12,924
სხვა ხარჯი	45,986	82,928	18,547
სულ ჯამში	6,414,189	5,387,916	5,033,826

1.3. სამეცნიერო გრანტი

2007 – 2009 წლებში სტუ-ს სამეცნიერო გრანტებზე მიღებულმა დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 1,895,6 ათასი ლარი, რომლიდანაც საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან მიღებულია დაფინანსება 27 სამეცნიერო პროექტზე და შეადგენს 1,533,9 ათას ლარს.

ეროვნული სამეცნიერო ფონდის გარდა, სტუ-ს გრანტები მიღებული აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებისგან: ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი (NATO) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID). უცხოური პროექტებიდან აუ დიტის პერიოდში სტუ-მ მიიღო 361,7 ათასი ლარი.

აღნიშნულ პროექტებზე გაწეული ფაქტიური დანახარჯები აუდიტის პერიოდის განმავლობაში გადანაწილდა შემდეგნაირად:

დახასიათება	2007	2008	2009
მიმდინარე პროექტების რაოდ-ბა	5	14	28
დაფინანსება	237,150	490,988	1,167,535
პროექტის საშუალო ღირებულება	47,430	35,071	41,698

სტუ გრანტების ხარჯვის ანგარიშსა და შედეგებს წარუდგენს დამკვეთ ორგანიზაციას. საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან დაფინანსებული გრანტების ხარჯვითი ნაწილი და შედეგები წარედგინება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

1.4. ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი


სტუ-ს ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები მოიცავს იჯარას, დეპოზიტზე დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს, სამეცნიერო ხელშეკრულებას, ექსპერტულ მომსახურებას.

2007 – 2009 წლებისათვის ჯამში ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 3,218,9 ათასი ლარი.

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი იყოფა შემდეგნაირად:

დასახელება	2007	2008	2009
იჯარა	183,852	344,093	332,117
დეპოზიტზე დარიცხული პროცენტი	224,233	226,749	380,920
სხვა შემოსავლები ¹	481,253	461,553	584,158

2007 - 2009 წლებში საიჯარო ქირიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 860,0 ათასი ლარი, მათ შორის, წლების მიხედვით:



¹ საკურსო სხვაობა, მოიჯარეებზე მიწოდებული კომუნალური მომსახურება, სამეცნიერო ხელშეკრულება და ექსპერტული მომსახურება.

ქვემოთ მოცემულია სტუ-ს მიერ გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებების დინამიკა წლების მიხედვით:

წელი	წლის დასაწყისში	გაფორმდა	შეწყდა	წლის ბოლოს	წლიური იჯარა	თვიური იჯარა
2007	19	14		33	183,852	15,321
2008	33	5		38	344,093	28,674
2009	38	5	11	32	332,117	27,676

სულ აუდიტის პერიოდში სტუ-ს სხვადასხვა პირთან გაფორმებული ჰქონდა 43 ხელშეკრულება ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ. საიჯარო ფართი ჯამში შეადგენდა 8,255.7 კვ.მ-ს. 2009 წლის ბოლოსათვის მოქმედებდა 32 ხელშეკრულება, რომლის საიჯარო ფართი ჯამში შეადგენდა 5,648 კვ.მ.

ცხრილში მოცემულია გაქირავებული ფართები მოცულობისა და სახეობების მიხედვით:

მდებარეობა		საწყისი 2007	დაემატა	საწყისი 2008	დაემატა	საწყისი 2009	დაემატა	შეწყდა	ბოლო 2009
შენობის სართულები	რაოდ	10	7	17	4	21		3	18
	კვ.მ	1471	1177	2648	1749	4397		144	4253
ციკლის სართული	რაოდ	4		4		509			509
	კვ.მ	509		509		509			509
სარდაფის სართული	რაოდ	2		2		2	1	2	1
	კვ.მ	256		256		256	69	256	69
სახურავი	რაოდ	1	5	6	1	7			7
	კვ.მ		104	104		104			104
მიმდებარე ფართი	რაოდ	2		2		2			2
	კვ.მ	368		368		368			368
ფასადი	რაოდ		2	2		2		2	0
	კვ.მ		309.58	309.58		310		37	273
სულ	რაოდ	19	14	33	5	38	1	7	32
	კვ.მ	2604	1591	4195	1749	5944	69	437	5576

აუდიტის ჯგუფის მიერ იჯარით გაცემული ფართების კანონიერების შესწავლის შემდეგ გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1.4.1 სახელშეკრულებო ვადის გასვლის გამო შეწყვეტილი ხელშეკრულებებით წარმოქმნილი დავალიანებების ამოღების მიზნით სტუ-ს სათანადო ზომები აუდიტის პერიოდში არ გაუტარებია.

წარმოდგენილი და ბუღალტრულ ანგარიშებზე არსებული სადებეტო ნაშთების მიხედვით², მოიჯარეების საიჯარო გადასახადის დავალიანება 2010 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 276,2 ათას ლარს.

² 2009 წლის ბოლოსათვის დარიცხული ყოველთვიური ან/და კვარტალური გადასახადების გამოკლებით;

ა. 2009 წელს საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო, წერილობითი გაფრთხილებების შემდეგ ხელშეკრულებები ცალმხრივად შეუწყდა სამ მოიჯარეს: ფ/პ პ. ცხადაძეს, ფ/პ დ. სამუშიასა და ამხანაგობა „ოლიმპიურ ვარსკვლავს“, რომელთა დავალიანება საიჯარო ქირის სახით 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა **117,2 ათას ლარს**, აღნიშნული თანხა გადანაწილდა შემდეგნაირად:

კომპანია	გადასახდელი ქირა
ფ/პ პ. ცხადაძე	28,008
ფ/პ დ. სამუშია	8,370
ამხანაგობა „ოლიმპიური ვარსკვლავი“	80,851
ჯამში	117,229

ბ. საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო 2010 წლის აპრილში ხელშეკრულება შეუწყდა ფ/პ ბ. გეგეჩკორს, რომლის დებიტორული დავალიანება 2009 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენდა **48,7 ათას ლარს**.

გ. 7 ვადაგასული ხელშეკრულებიდან (საერთო საიჯარო ფართი 1404,8 კვ.მ.) მოქმედების ვადა გაუგრძელდა 4 ხელშეკრულებას (საერთო საიჯარო ფართობით 835.6 კვ.მ.). დარჩენილი სამი მოიჯარეს - ფ/პ მ. სეფერთელაძეს (518 ლარი), ფ/პ ბ. ბეჟანიშვილს (377 ლარი) და ფ/პ ი. ჩიტირეკიაშვილს (1905 ლარი) დებიტორული დავალიანება **2,8 ათასი ლარის** ოდენობით არ აუნაზღაურებიათ.

დ. 2009 წლის ბოლოსათვის დანარჩენი 25 იჯარის ხელშეკრულებიდან უნივერსიტეტის მიმართ დებიტორულმა დავალიანებამ, გადაუხდელობის გამო მოშლილი და ვადის გასვლის გამო შეწყვეტილი ხელშეკრულების გარდა, ასევე ბოლო დარიცხული ყოველთვიური ან/და კვარტალური გადასახადის გამოკლებით შეადგინა **107,4 ათასი ლარი**.

აქვე აღსანიშნავია, რომ 2007 - 2009 წლებში გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში სტუ-ს მოიჯარეებისათვის არ დაუკისრებია პირგასამტეხლო (ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.1%) ვადაგადაცილებულ დღეებზე ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.

რეკომენდაცია:

1. უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს მოიჯარეების მიერ გადასახდელი მიმდინარე გადასახადების დროული მონიტორინგი. საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში სტუ-მ უნდა გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზომები დებიტორული დავალიანების დასაფარად.

ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოიჯარეს უნდა განესაზღვროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული განაკვეთის მიხედვით განსაზღვრული პირგასამტეხლოს ოდენობა და დამატებით დაერიცხოს საურავი.

საურავის უნდა დაირიცხოს ცალკე ბუღალტრულ ანგარიშზე, რაც გაამარტივებს მოიჯარეთა ვალდებულებების მართვას.

1.4.2. 2007 – 2009 წლებში დადებული 43 საიჯარო ხელშეკრულებიდან, ხუთ შემთხვევაში ბუღალტრულ ანგარიშებში ასახული მოიჯარეების ვალდებულებები არ შეესაბამება ანალიზური აღრიცხვის ბარათებით დარიცხულ მონაცემებს. კერძოდ, ბარათის მონაცემებთან შედარებით ნაკლები დებიტორული ნაშთია ასახული (შემცირებულია მოთხოვნები) ბუღალტრულ ანგარიშებში შემდეგ მოიჯარეებზე:

ა. ამხანაგობა ოლიმპიურ ვარსკვლავი - შემცირებულია 23,3 ათასი ლარით;

ბ. შპს ჯი-ეს-კომპანი - 4,1 ათასი ლარით;

გ. ფ/პ ბ. გეგეკორი - 0,1 ათასი ლარით.

ნაკლები კრედიტორული (შემცირებულია ვალდებულება) ნაშთია შემდეგ მოიჯარეებზე:

ა. შპს მაკოტო - 19,3 ათასი ლარი;

ბ. შპს მინი ტელესაკომუნიკაციო სისტემები - 1,1 ათასი ლარი.

რეკომენდაცია:

საანგარიშო წლის ბოლოს მოიჯარეებთან უნდა გაფორმდეს შედარების აქტი, უნდა დაზუსტდეს დებიტორული/კრედიტორული დავალიანების ოდენობა და უზუსტობის შემთხვევაში მოხდეს ბუღალტრულ ანგარიშზე მაკორექტირებელი გატარება.

1.4.3. 2007 – 2008 წლებში უნივერსიტეტმა გააფორმა მეიჯარის ჩანაცვლების 8 შეთანხმება იმ მოიჯარეებთან, რომლებიც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოსთან 2004 წელს გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებების საფუძველზე, სარგებლობდნენ სტუ-სათვის აღნიშნული სამმართველოს მიერ 2006-2007 წლებში უზუფრუქტით გადაცემული ფართებით, სულ 2,528 კვ.მ. მათ შორის:

ა. შპს ფალავანი - 811 კვ.მ;

ბ. შპს ორბი - 170 კვ.მ;

გ. შპს რა - 141 კვ.მ;

დ. შპს ვილა მარა - 1082 კვ.მ. (4 ხელშეკრულება);

ე. შპს კენგურუ - 323 კვ.მ;

მეიჯარის ჩანაცვლების პროცესში არ განხორციელდა მოიჯარის მიმართ არსებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, რასაც ითვალისწინებს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულება. აღნიშნულის გამო დაუდგენელია აუდიტის პერიოდის დასასრულისათვის თუ რა მოცულობის ვალდებულება აქვთ დაგროვებული მოიჯარეებს სახელმწიფოს მიმართ.

შ.პ.ს. „ვილა მარასა“ და სტუ-ს შორის მეიჯარის ჩანაცვლების ხელშეკრულება გაფორმდა ორნახევარი თვის დაგვიანებით (2007 წლის ნოემბერი), თუმცა სტუ-მ აღნიშნულ მოიჯარეს საიჯარო ქირა დაარიცხა არა გაფორმებული მეიჯარის ჩანაცვლების შეთანხმების თარიღიდან (ნოემბერი), არამედ 7 თვით ადრე, 2007 წლის მაისიდან, თუმცა, აღნიშნული პერიოდში უძრავი ქონება არ იმყოფებოდა სტუ-ს სარგებლობაში და საიჯარო თანხა უნდა მიეღო ქონების მართვის სამმართველოს. ამ პერიოდში დარიცხული დებიტორული დავალიანება აუდიტის პერიოდის ბოლოსათვის ჯერ კიდევ აღირიცხება სტუ-ს ანალიზური აღრიცხვის ბარათზე.

ეკონომიკის სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად ერთ-ერთი მოიჯარის, შპს „კენგურუს“ მიერ სახელმწიფოს სასარგებლოდ საიჯარო თანხების გადახდასთან დაკავშირებული ინფორმაცია არ აღმოჩნდა სამინისტროს ხელთ არსებული გადარიცხვების ბაზაში. შესაბამისად, ამ კომპანიის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტისადმი არსებული ვალდებულების გადახდის მდგომარეობა და მოცულობა დაუდგენელია.

1.4.4. შპს „ვილა მარას“ და შპს „რას“ ტექნიკური უნივერსიტეტთან გაფორმებული ჰქონდათ იჯარის ხელშეკრულებები:

კომპანიის დასახელება	საიჯარო შენობა-ნაგებობის ფართი კვ.მ	საიჯარო ფასი თვეში (აშშ)	საიჯარო ფასი წელიწადში (აშშ)
შპს რა	141	1,750	7,000
შპს ვილა მარა	475	5,500	22,000
შპს ვილა მარა	100	1,125	4,500

ზემოაღნიშნული კომპანიებიდან შ.პ.ს. „ვილა მარა“ იჯარით აღებული შენობის წინ მდებარე მიწის ნაკვეთს იყენებს კომერციული მიზნებისათვის (მოწყობილია ღია კაფე), ხოლო ამ მიწით სარგებლობის თანხა არ შედის შენობის საიჯარო ფასში და არ ხორციელდებოდა გადახდა. შესაბამისად, მიწის ნაკვეთი კომპანიების სარგებლობაში აღმოჩნდა უსასყიდლოდ, სულ 472 კვადრატული მეტრი.

უზუფრუქტით შენობა-ნაგებობის გადაცემის შემდეგ ტექნიკურ უნივერსიტეტს ევალებოდა ამ შენობის მოვლა-პატრონობა. სტუ უფლებამოსილი იყო, ეცნობებინა ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის ამ მიწის ფართობის უსასყიდლო გამოყენების ფაქტის თაობაზე და დაეყენებინა მისი სახელშეკრულებო წესით სარგებლობის უფლებით გაცემის საკითხი, რითაც მიწის მესაკუთრე შეძლებდა დამატებითი შემოსავლების მიღებას.

1.4.5. 2007 წლის 7 ივლისს უნივერსიტეტსა და კონკურსით გამოვლენილ შპს „კომპანია იმპერიალს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება 171.0 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართისა და შესაბამისი წილი მიწის ფართობის იჯარით გადაცემის შესახებ 10 წლის ვადით, ყოველთვიური ფასი 1 კვ.მ-ზე შეადგენდა 6,09

აშშ დოლარს ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღისათვის არსებული კურსის შესაბამისად, სულ 1,041 აშშ დოლარი¹.

შპს „კომპანია იმპერიალის“ წერილის (24.12.2008, №2/12-23.219) და უნივერსიტეტის ბრძანების (12.01.2009, №3) საფუძველზე, უნივერსიტეტსა და შპს „აუთდორ-ჯის“ შორის გაფორმდა ზემოხსენებული საიჯარო ხელშეკრულების დამატებითი ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, შპს „კომპანია იმპერიალის“ უფლება-მოვალეობები გადავიდა შპს „აუთდორ-ჯიზე“.

წარმოდგენილი ბუღალტრული ინფორმაციით შპს „კომპანია იმპერიალს“ საბუღალტრო ანგარიშზე (1410-მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან) 2009 წლის 30 იანვრიდან ერიცხება დებიტორული ნაშთი 6,0 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც არ არის გადატანილი შპს „აუთდორ-ჯის“ ბარათზე. შესაბამისად, არ დარიცხულა ვადაგადაცილებულ დღეებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, რაც 2009 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენდა 2,0 ათას ლარს.


2. სტუ-ს ხარჯები

2.1 - სახელფასო ხარჯი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2007 წლის 1 ივნისის N17-08-1/8774 წერილის თანახმად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრა 1559,5 ერთეულით, წლიური სახელფასო ფონდი განისაზღვრა 7,640,5 ათასი ლარით. ამასთან ერთად დამტკიცდა სახელშეკრულებო ერთეულები მოწვეული პედაგოგების სახით, სახელფასო ფონდით 2,801.3 ათასი ლარი. სულ სტუ-ს 2007 წლის სახელფასო ფონდმა 10,441,8 ათასი ლარი შეადგინა. 2007 წელს მოქმედი სოციალური გადასახადის ოდენობა 2,072,2 ათას ლარს გაუტოლდა.

2008 – 2009 წლებში სტუ-ს სახელფასო ფონდი და საშტატო განრიგი გაიზარდა. სახელფასო ხარჯები, როგორც შტატში არსებული თანამშრომლებისათვის ასევე ხელშეკრულებით დაქირავებულთათვის:

¹ გადახდა (2.2)-თვეში ერთხელ და გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით; გადაუხდელობის შემთხვევაში (4.1)-წერილობითი გაფრთხილება, ერთთვიანი ვადის მითითებით და ჯარიმა თვიური ქირის 0.1 % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დარღვევის დღიდან.



2007 – 2009 წლებში თანამშრომელთა რაოდენობისა და საშუალო ხელფასის ზრდის დინამიკა:

წელი	2007	ზრდა %	2008	ზრდა %	2009
თანამშრომელთა რაოდენობა (შტატში)	1560	0.1%	1561	14.7%	1790
საშტატო სახელფასო ფონდი	7,640,544	31.9%	10,079,465	22.2%	12,320,164
საშუალო დარიცხული ხელფასი	408	31.8%	538	6.6%	574

2009 წელს საშტატო რიცხოვნობა გაიზარდა 228.5 ერთეულით, ხოლო წლიური სახელფასო ფონდი 1,873.4 ათასი ლარით. ძირითადი ზრდა (213.5 ერთეული) მოდის ფაკულტეტების აკადემიურ პერსონალზე, რომელთა რიცხოვნობამ 1112 ერთეული შეადგინა. საშტატო განრიგის მიხედვით აღარ იყო გათვალისწინებული სახელშეკრულებო ერთეულების (მოწვეული პედაგოგები) დაქირავება, რადგან აღნიშნული კატეგორია შეყვანილ იქნა საშტატო განრიგის აკადემიური პერსონალის შემადგენლობაში.

2.1.1. აუდიტის ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა სტუ-ს თანამშრომლებზე ხელფასის და სხვა ფულადი დანამატების გაცემის საფუძვლიანობა.

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ სტუ-ს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან დაფინანსებული ზეგანაკვეთური სამუშაო დრო ანაზღაურდებოდა არა ზედმეტად ნამუშევარი საათობრივი ტარიფის მიხედვით და შესაბამისი ტაბელის საფუძველზე, არამედ ფიქსირებულად, სახელფასო განაკვეთის 30-100%-ის ფარგლებში. საქართველოს შრომის კოდექსით არ არის განსაზღვრული ზეგანაკვეთური სამუშაო დროის ანაზღაურების ოდენობა, შესაბამისად ანაზღაურება არ უნდა მომხდარიყო აღწერილი ფორმით, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში არ დასტურდება ზედმეტად გაცემული თანხის საფუძვლიანობა და შეუძლებელია

დადგინდეს, რამდენად მართლზომიერად არის გაცემული ზეგანაკვეთური ანაზღაურება.

რეკომენდაცია:

სტუ-მ უნდა შეიმუშაოს თანამშრომელთა სამუშაო საათების აღრიცხვის ეფექტური მექანიზმები, ასევე უნდა მოხდეს დამატებითი ნამუშევარი საათების სწორი აღრიცხვა ჟურნალის წარმოებით, რომელშიც აღრიცხული მონაცემები აისახება შესაბამის ტაბელში. შესაძლებელია კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად. ფულადი კომპენსაცია უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ფაქტიურად ზედმეტად ნამუშევარი საათების რაოდენობას, ასევე სტუ-ს თანამშრომლის დამატებითი საათების რაოდენობა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ. შედეგად სტუ-მ უნდა უზრუნველყოს დამატებითი ნამუშევარი საათების მხოლოდ გონივრული ანაზღაურება და კომპენსაციის ეს საშუალება არ უნდა იქცეს უკონტროლო ხარჯის წყაროდ.

2.1.2. აღრეულია სტუ-ს ზოგიერთი თანამშრომლის ადმინისტრაციული და აკადემიური თანამდებობის ფუნქციები. აუდიტის პერიოდისათვის მოქმედი სწავლების ინსტრუქცია არ ითვალისწინებდა რაიმე სახის შეზღუდვებს დამატებითი საათობრივი ანაზღაურების კუთხით. შესაბამისად სწავლების ინსტრუქციის აღნიშნული უზუსტობა გამოიყენება დამატებითი შემოსავლის მისაღებად.

კერძოდ, აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ 2009 წელს სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მუშაობს სრული შტატით როგორც კანცლერი (6.5 საათი დღეში), ნახევარი შტატით როგორც სრული პროფესორი (300 საათი წელიწადში, საშუალოდ 1.5 საათი დღეში), დამატებით სახელშეკრულებო ზღვრის ზემოთ საათობრივი დატვირთვით გამომუშავებული აქვს წლიურად 745 საათი (საშუალოდ 4 საათი დღეში). ჯამში, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სამუშაო დღის განმავლობაში მუშაობს საშუალოდ 12 საათს ($6.5 + 1.5 + 4 = 12$).

როგორც 2.1.1 პუნქტში აღინიშნა, ზეგანაკვეთური ანაზღაურება სტუ-ს მიერ კომპენსირდება ძირითადი ხელფასის გარკვეული პროცენტული ოდენობით და არა ფაქტიურად ზედმეტად ნამუშევარი საათის მიხედვით.

ანალოგიურად, 2008 წელს 16,3 ათასი ლარი გამომუშავებულია ზეგანაკვეთური ანაზღაურებით. ამავე წელს რეგულარულ სამუშაო საათებზე დამატებით უკვე ანაზღაურებული იყო 1,081 საათი (დამატებით საშუალოდ 5.5 საათი დღეში). ამდენად, ზემოაღნიშნული რეგულირების ხარვეზის გამოყენებით 2008–2009 წლებში სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურების ხარჯმა შეადგინა **26,2 ათასი ლარი**.

უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლის 22 მაისიდან სტუ-ს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით დადგინდა დამატებითი საათების ანაზღაურების ზედა ზღვარი, რაც შეადგენს აკადემიური წლის განმავლობაში დამატებით მაქსიმუმ 450 საათს.

შესაბამისად 2010 წლისათვის სწავლების ინსტრუქციით სტუ-მ შეზღუდა დამატებითი საათების არამიზნობრივი ანაზღაურება.

2.1.3. სტუ-ს თანამშრომლებზე დარიცხული სახელფასო ანაზღაურების კანონიერების დადგენის მიზნით, აუდიტის ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა სრული განაკვეთის თანამშრომლების დასწრება. 8 ფაკულტეტიდან შეირჩა 4 ფაკულტეტი და ადმინისტრაცია. შემოწმების შედეგად თანამშრომელთა გარკვეული ოდენობა სამუშაო ადგილზე არ აღმოჩნდა, კერძოდ:

ფაკულტეტის დასახელება	თანამშრომლების		დასწრების
	რაოდ-ბა	დასწრება	ინდიკატორი
სამშენებლო	153	68	44%
ჰუმანიტარულ-სოციალური	209	108	52%
ქიმიური ტექნოლოგიები და მეტალურგია	189	124	66%
ინფორმატიკის მართვა და სისტემები	332	172	52%
ადმინისტრაცია	153	118	77%
ჯამში	1036	590	57%

შესაბამისად, თანამშრომლების არასაპატიო მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობა გაუტოლდა 43%-ს.¹

სამუშაო საათების და სამსახურის გაცდენის მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს სტუ-ს სამუშაო პროცესში კონტროლის მექანიზმების სისუსტეზე. არ არსებობს აკადემიური თუ დამხმარე პერსონალის სამსახურში მოსვლისა, დასწრების მონიტორინგისა და აღრიცხვის მექანიზმები. შესაბამისად, არამართლზომიერად იხარჯება სახელფასო ფონდი, რომელიც შეადგენს სტუ-ს სამი წლის კონსოლიდირებული ბიუჯეტის 58%-ს, 42,7 მილიონ ლარს.

რეკომენდაცია:

სტუ-მ უნდა უზრუნველყოს არსებული საკადრო რესურსის დატვირთვა და ეფექტიანი გამოყენება, სამუშაო პროცესის სათანადო მონიტორინგი, სამსახურში თანამშრომელთა დასწრების მოწესრიგება და შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფა, მათ შორის, სტრუქტურული ერთეულების საკადრო ოპტიმიზაცია.

ყოველივე ზემოთხსენებული უნდა მოხდეს სტუ-ს სტრატეგიული და ინოვაციური მიზნების და არსებული საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

2.1.4. კადრების მართვის განყოფილება არ აწარმოებს თანამშრომელთა რეესტრს, სტუ-ს აქვს ინფორმაცია მხოლოდ მიმდინარე მომენტში დასაქმებულ თანამშრომლებზე და არ ფლობს ორგანიზებულ ბაზას, სადაც შესაძლებელი იქნება თანამშრომელთა რაოდენობის დადგენა კონკრეტული თარიღისთვის. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ ჩაატარა აუდიტის ანალიტიკური პროცედურა

¹ ამ რიცხვის დაანგარიშებისას გათვალისწინებული იყო შვებულებები და ასევე სხვა გარემოებები, რის გამოც თანამშრომლები სხვადასხვა საპატიო მიზეზით არ იმყოფებოდნენ სამუშაო ადგილზე.

ხელშეკრულებით დაქირავებული თანამშრომლებისთვის ხელფასის სახით გადახდილი თანხების დასადასტურებლად.

რეკომენდაცია:

უნდა მოხდეს სტუ-ს თანამშრომელთა ელექტრონული ბაზის შემუშავება, მონაცემთა ბაზის მუდმივი განახლება და მონაცემთა შენახვა-დაარქივება. პერიოდულად (სასურველია კვარტალში ერთხელ) უნდა შედარდეს შტატით განსაზღვრული და ხელშეკრულებით აყვანილი თანამშრომლების სია კადრებისა და აღრიცხვა-ანგარიშების სამმართველოებს შორის. უნდა მოხდეს თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრა და გადამოწმება აღნიშნულ სამმართველოებს შორის.

2.2 სტუ-ს მიერ განხორციელებული შესყიდვების კანონიერება და ეკონომიურობა


სტუ-მ 2007 – 2009 წლებში განხორციელა 1,394 შესყიდვა, ღირებულებით 10,849 ათასი ლარი, აქედან ტენდერით განხორციელდა 16 შესყიდვა, ღირებულებით 6,959,2 ათასი ლარი; ფასთა კოტირებით განხორციელდა 24 შესყიდვა, ღირებულებით 1,163,4 ათასი ლარი; ერთ პირთან მოლაპარაკებით განხორციელდა 1,354 შესყიდვა, ღირებულებით 2,726,6 ათასი ლარი;

შესყიდვები წლების მიხედვით ხორციელდებოდა შემდეგი მოცულობებით:

წელი	შესყიდვის ფორმა	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი		სამეცნიერო გრანტი	
		რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა
2007	ე.პ.მ.	287	482,059	47	451,389	34	17,484
	ფ.კ.	8	262,685	3	72,016	-	-
	ტენდერი	2	638,858	4	1,951,291	-	-
2008	ე.პ.მ.	263	395,212	39	98,498	76	90,611
	ფ.კ.	5	206,619	2	72,678	1	30,485
	ტენდერი	5	1,889,369	2	846,420	-	-
2009	ე.პ.მ.	374	822,573	42	161,607	192	207,200
	ფ.კ.	3	268,917	2	250,000	-	-
	ტენდერი	2	1,075,314	1	558,045	-	-
ჯამში	ე.პ.მ.	924	1,699,844	128	711,493	302	315,295
	ფ.კ.	16	738,221	7	394,694	1	30,485
	ტენდერი	9	3,603,541	7	3,355,756	-	-
სულ შესყიდვები			6,041,605		4,461,943		345,780

აღნიშნული 10,8 მილიონიდან 6,01 მილიონი ლარი შეადგენს კაპიტალური და მიმდინარე რემონტის ხარჯს.

2007 - 2009 წლებში სტუ-ში ჩატარებული სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები დაფინანსების წყაროების მიხედვით იყოფოდა შემდეგნაირად:



წელი	საბიოუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	ჯამში (ლარი)
2007	1,992,737	423,093	2,415,830
2008	1,142,209	759,104	1,901,313
2009	868,512	825,078	1,693,590
სულ	4,003,458	2,007,275	6,010,733

2007 - 2009 წლებში ჩატარებული სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების შესრულებელი ორგანიზაციები შესრულებული სამუშაოსა და დაფინანსების მოცულობის მიხედვით:

შემსრულებელი	სამუშაოს დახასიათება	წილი	თანხა (ლ)
შპს ორნამენტი	კარ-ფანჯარა, სველი წერტილები	49%	2,936,970
შპს გრდემლი	აუდიტორიის და ოთახის რემონტი	19%	1,130,321
შპს გეოკოლორი	აუდიტორიის და ოთახის რემონტი	8%	468,285
შპს კლიმატსერვისი	გათბობის სისტემების დამონტაჟება	5%	324,207
შპს ჯითიერემი	შენობა-ნაგებობა, სპორტ-დარბაზის რემონტი	4%	252,423
შპს ზეცისი	გათბობის სისტემების დამონტაჟება	4%	245,991
შპს თერმა	გათბობის სისტემების დამონტაჟება	3%	155,000
შპს დელტაკომი	კვშირგაბმულობის ქსელები	2%	102,234
შპს პროფიმპექსი	კომპიუტერული აპარატურის მონტაჟი	1%	74,250
სხვა დანარჩენი	სხვადასხვა	5%	321,051
		ჯამში	6,010,733

კაპიტალური და მიმდინარე სარემონტო სამუშაოების შესყიდვის პროცედურებში და შესრულებულ სამუშაოებში გამოვლენილი დარღვევები:

2.2.1. სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ჩატარებაზე ნაწარმოები დოკუმენტაციის შემოწმებით ირკვევა, რომ დეფექტური აქტები და ხარჯთაღრიცხვები რიგ შემთხვევაში დაუთარილებელია, შესრულებულ სამუშაოთა აქტებში (ფორმა N2) მითითებულია მხოლოდ თვე, რიცხვის გარეშე. კერძოდ, შ.პ.ს. „გრდემლის“ მიერ 2008 წელს ეტაპობრივად შესრულებული სარემონტო სამუშაოების ამსახველ დოკუმენტაციაზე, რომელიც შეადგენს 711,0 ათას ლარს, აღნიშნულია

მხოლოდ წელი, ხოლო შპს ორნამენტის მიერ 2009 წელს შესრულებული 747,1 ათასი ლარის სარემონტო სამუშაოების ამსახველ მიღება-ჩაბარების აქტზე აღნიშნულია თვე და წელი, რიცხვის გარეშე. აღნიშნულის გამო, შეუძლებელია დადგინდეს ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების და სამუშაოების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში შესრულების მდგომარეობა.

რეკომენდაცია:

უნდა მოხდეს საქონლისა და მომსახურების მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესრულების კონტროლი. დოკუმენტაციის შემუშავებისას უნდა იქნეს მითითებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ვადები, ისევე როგორც დოკუმენტის შექმნის და ხელმოწერის თარიღები.

2.2.2. 2007 წლის 9 მაისს სტუ-მ ჩაატარა ტენდერი სასწავლო კორპუსების მიმდინარე შეკეთებითი და სარემონტო სამუშაოების შესახებ, რომლის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 2,627,0 ათასი ლარით. სატენდერო კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოვლინდა შპს ორნამენტი და გაუფორმდა ხელშეკრულება ტენდერის ორივე ლოტზე ღირებულებით 1,377,3 ათასი ლარი. შ.პ.ს. ორნამენტის მიერ წარმოდგენილი ფასების ცხრილის მიხედვით #1 ლოტის ღირებულება ერთეულის ფასის მიხედვით, დაფიქსირებული 489,4 ათასი ლარის ნაცვლად, შეადგენდა 470,0 ათას ლარს, ხოლო მეორე ლოტზე 887,9 ათასი ლარის ნაცვლად - 888,371 ათას ლარს. კანონის თანახმად, ვინაიდან სატენდერო კომისიას უპირატესობა უნდა მიენიჭებინა ერთეულის ფასისათვის, ხელშეკრულება 1,377,3 ათასი ლარის ნაცვლად უნდა გაფორმებულიყო 1,358,5 ათას ლარზე. (18,9 ათასი ლარით ნაკლებ თანხაზე)

ასევე, პირველადი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოების ნაწილი საერთოდ არ შესრულდა, ხოლო შესრულებულ ნაწილზე კორექტირებულია მოცულობა. კერძოდ მიმწოდებელს გაუთვალისწინებული ხარჯი არ ჰქონდა, რაც ორივე ლოტზე შეადგენდა 6.6 ათას ლარს. ამის მიუხედავად ხელშეკრულების ღირებულება არ შემცირებულა და ხარჯთაღრიცხვის კორექტირების შედეგად გადახდილია ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება. შესაბამისად, მხარეებმა ხელოვნურად გაზარდეს შესრულებული სამუშაოების მოცულობა, წინასწარ გათვალისწინებული გაუთვალისწინებელი ხარჯის ოდენობით ხელშეკრულების ფასის შემცირების თავიდან ასაცილებლად.

ჯამში ზედმეტად გადახდილმა თანხამ შეადგინა 25,5 ათასი ლარი.

2.2.3. შ.პ.ს. ორნამენტის მიერ სტუ-ს მეექვსე კორპუსში შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზის შედეგად ფაქტობრივ და შესასრულებელ სამუშაოს შორის

გამოვლინდა სხვაობა 94.26 კვ.მ ოდენობით, რამაც თანხოვრივად შეადგინა 6,7 ათასი ლარი. აღნიშნულ ობიექტზე ფაქტობრივი და შესრულებული მოცულობის შესაბამისობა დაადასტურებულია ექსპერტად მიწვეული ზურაბ მახოხაშვილის მიერ, რომელსაც შრომის ანაზღაურების სახით უნდა მიეღო ფორმა 2-ში დაფიქსირებული თანხის 1%, რამაც თანხოვრივად შეადგინა 13,7 ათასი ლარი.

2.2.4. სტუ-მ 2009 წლის 5 ივნისს შპს ორნამენტთან ტენდერში გამარჯვების შემდეგ გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N07/06/09, თანხით 747,0 ათას ლარზე. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის შესწავლის მიზნით მოწვეულ იქნა დამოუკიდებელი ექსპერტი - შპს უძრავი ქონების ექსპერტი.

აღნიშნული ფირმის სპეციალისტებმა გ. დოღმაზაშვილმა, ი. ცერცვაძემ და მ. ბარბაქაძემ განახორციელეს სტუ-ს ობიექტების სარემონტო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა 2009 წლის 21 მაისის მდგომარეობით საქართველოში მოქმედ ნორმატიულ და წარმოდგენილ დეფექტურ აქტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. სტუ-მ ამ მომსახურებისთვის შპს უძრავი ქონების ექსპერტს გადაუხადა 4,5 ათასი ლარი.

ექსპერტიზის შედეგად შპს ორნამენტის მიერ წარდგენილი ერთეულ მოცულობაზე საშენი მასალების (წყალემულსიური და ზეთოვანი საღებავების, საფითხნი მასალების და პარკეტის ლაქი) ხარჯვის ნორმები მნიშვნელოვნადაა შემცირებული სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან შედარებით.

აღნიშნულის მიუხედავად სატენდერო კომისიის ორმა წევრმა განაცხადა, რომ შპს ორნამენტის მიერ წარმოდგენილი მასალის ნორმების გათვალისწინებით შესაძლებელია სამუშაოების შესრულება და გამარჯვებულად გამოცხადდა შპს ორნამენტი.

საქართველოს კონტროლის პალატის ექსპერტიზის სამსახურის მიერ ჩატარებული საკონტროლო აზომვებიდან გაირკვა, რომ სტუ-ს VI კორპუსის 2009 წელში გარემონტებულ №909, №910 და №916 აუდიტორიებში, შპს ორნამენტის მიერ 2009 წელს შესრულებული სამღებრო სამუშაოები უხარისხოა და საჭიროებს დამატებით რემონტს.

2.2.5. შ.პ.ს. „პროფიმპექსთან“ 2009 წლის 12 დეკემბერს გაფორმებული N60/11/09 ხელშეკრულების თანახმად, შესრულდა 74.3 ათასი ლარის სამუშაოები, რომლის ინსპექტირებაც შემსყიდველი ორგანიზაციის (სტუ) მხრიდან ევალუბოდა რადიოტექნიკის მიმართულების პროფესორ ა. ასანიძეს.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება კი ა. ასანიძემ დაადასტურა, როგორც დამოუკიდებელმა ექსპერტმა - შ.პ.ს. „სი ემ ჯი ბილდინგის“

სახელით, რითაც დაირღვა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვით შემსყიდველ ორგანიზაციას ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით არ შეეძლო ექსპერტად მოეწვია პირი, რომელიც ბოლო სამი წლის განმავლობაში მუშაობდა მომსახურების შემსყიდველ ორგანიზაციაში.

2.2.6. 2008 წლის 16 თებერვალს უნივერსიტეტმა გამოაცხადა მრავალწლიანი ტენდერი სასწავლო და ადმინისტრაციული კორპუსების დაცვით მომსახურებაზე, რომლის სავარაუდო ღირებულება 12 თვის განმავლობაში შეადგენდა **700,0 ათას ლარს**. სატენდერო კომისიამ პრეტენდენტებისაგან მოითხოვა გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში, დამატებითი პირობები და ანგარიშწორების პირობები, თუმცა არ იყო განსაზღვრული ყველა ზემოაღნიშნული კრიტერიუმის შეფასების წესი.

დაბალფასიანმა პრეტენდენტმა შ.პ.ს. „ვა მარაგვამ“ წარმოადგინა ბოლო ხუთი წლის გამოცდილება, დამატებითი პირობები და ანგარიშწორების პირობები შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი ფორმის შესაბამისად. იმის გამო, რომ არ იყო განმარტებული ამ კრიტერიუმების შეფასების წესი, კომისიის მიერ შეფასების შედეგად გამარჯვებულად გამოვლინდა მაღალფასიანი პრეტენდენტი შ.პ.ს. „დარაკა“ დამატებითი პირობების და ანგარიშწორების ვადების გამო, რომელსაც გაუფორმდა ხელშეკრულება ღირებულებით 1,036,3 ათასი ლარი.

ხელშეკრულების შესრულების პერიოდში უნივერსიტეტს არ მოუთხოვია იმ ვალდებულების შესრულება, რასაც შ.პ.ს. „დარაკა“ შემსყიდველს უსასყიდლოდ სთავაზობდა. კერძოდ, დაცვის სისტემა არ იქნა ცენტრალური მართვის პულტზე აყვანილი მხოლოდ იმის გამო, რომ მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შესრულება დამოკიდებული იყო უნივერსიტეტის მიერ შემხვედრი ვალდებულების შესრულებაზე.

ამასთან, შ.პ.ს. „დარაკას“ ტენდერში გამარჯვების მეორე საფუძველი იყო ანგარიშწორება 30 დღიანი კონსიგნაციის ვადის გამოყენებით. უნივერსიტეტი ანგარიშწორებას ახორციელებდა მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 5 დღის განმავლობაში და არცერთ შემთხვევაში არ გამოყენებულა კონსიგნაციის 30 დღიანი ვადა.

აღნიშნულ დამატებით პირობებში, რომლითაც უნივერსიტეტს არ უსარგებლია, შემსყიდველმა გადაიხადა **166,9 ათასი ლარი**, შესაბამისად, ზემოაღნიშნულ შესყიდვაზე სტუ-ს არაეკონომიურმა ხარჯმა შეადგინა **166,9 ათასი ლარი**.

2.2.7. უნივერსიტეტის მიერ არ ხდებოდა ავანსად გასაცემი თანხის ოდენობის მითითება საბაზისო მონაცემთა ნუსხაში, შემსყიდველი პრეტენდენტებს არ

მიუთითებდა დისკვალიფიკაციის მიზეზებზე. ასევე, ადგილი ჰქონდა ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის დაგვიანებით წარდგენას და არ ხდებოდა საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის დაცვა.

2.3. ფასთა კოტირებით განხორციელებული შესყიდვები

ფასთა კოტირების პროცედურების განხორციელების დროს უნივერსიტეტი არ იცავდა პროცედურულ მოთხოვნებს, კერძოდ:

კოტირებაში მონაწილეთათვის გაგზავნილი და მათგან მიღებული დოკუმენტაცია არ იყო დამუშავებული „საქმისწარმოების ერთიანი წესის“³ მოთხოვნათა დაცვით, არ არის შესრულებული „საქმისწარმოების ერთიანი წესის“ მოთხოვნები შემოსული და გასაგზავნი დოკუმენტების დამუშავების და ქვედანაყოფებს შორის გადაცემის შესახებ (33-35 მუხლები), არ არის დაცული დოკუმენტების რეგისტრირებისა და ინდექსირების წესები (მუხლი 38).

შესამოწმებელ პერიოდში მონაწილეთა მოწვევის ფორმა №1-ში არ არის მითითებული განცხადების შეფასების დრო (საათი), რაც წარმოადგენს „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულებით განსაზღვრული ფორმა №1-ის მოთხოვნას. ხოლო 2009 წელს კოტირებით განხორციელებულ შესყიდვებზე მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან არ არის რეგისტრირებული ფორმა №3 (ინფორმაცია ფასებისა და მოწოდების გრაფიკის შესახებ), რომელშიც დაფიქსირებული მონაცემები წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმს⁴.

2.4. ერთ პირთან მოლაპარაკებით განხორციელებული შესყიდვები (ნაღდი ფულით შეძენილი საქონელი და მომსახურება)

ერთ პირთან მოლაპარაკებით განხორციელებულია 1,354 შესყიდვა, სულ თანხაზე 2,726,6 ათასი ლარი. ასევე შემოწმდა სალაროდან სამივლინებოდ და საქვეანგარიშოდ გაცემულ თანხებზე წარმოდგენილი სალაროს ჩეკის არსებობა. სალაროს ოპერაციების პირველადი დოკუმენტაცია შემოწმდა შერჩევით (წლების მიხედვით, 2007 - 220 ოპერაცია, 2008 - 103 ოპერაცია, 2009 - 41 ოპერაცია).

სტუ-ს ბუღალტერიაში არ არის წარდგენილი ცალკეული მიმწოდებლებისგან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის მიერ ამობეჭდილი ჩეკი, ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტი ან მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი⁵, ჯამში 32,9 ათას ლარზე. იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი:

³ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება

⁴ ფასთა კოტირების საშუალებით მომსახურების შესყიდვისათვის მონაწილეთა მიერ ფორმები წარმოდგენილია ცალ-ცალკე დოკუმენტებად და ამდენად საჭიროებს რეგისტრაციას თითოეული.

⁵ საქართველოს საგადასახადო კოდექსის N971 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით საქონლის/მომსახურების მიწოდების ოპერაციასთან დაკავშირებით შესაბამისი ნაღდი ფულის გადახდის ფაქტს ადასტურებს

№	ორგანიზაცია	საიდენ №	ნაღდი ანგარიშსწორების თარიღი	თანხა (ლარი)	წარმოდგენილი დოკუმენტი
1	ი/ს „ზურაბ რუსია“	106153714	28.03.07	7,200	ს.შ.ო. №10/7
			04.05.07	1,590	ს.შ.ო. №17/5
			28.03.07	1,500	ს.შ.ო. №4.1
			26.05.07	1,290	ს.შ.ო. №24/5
			18.05.07	3,210	ს.შ.ო. №21/5
2	ი/მ „მანონი კაშია“	102175726	31.05.07	2,000	ს.შ.ო. №15
			23.05.07	1,805	ს.შ.ო. №18
			30.05.07	800	ს.შ.ო. №21/5
			05.06.07	550	ს.შ.ო. №4/6
3	შპს „აუდიტორ-რეფორმატორი“	205017907	24.01.07	750	ს.შ.ო. №07-02
			23.02.07	750	ს.შ.ო. №07-05
			23.03.07	750	ს.შ.ო. №07-29
			30.04.07	750	ს.შ.ო. №07-21
			21.05.07	750	ს.შ.ო. №07-012
4	შპს „გრემი“	204462660	16.05.07	3,519	ს.შ.ო. №3
5	შპს „GF“	206267797	31.10.07	570	ს.შ.ო. №45
6	„ალ.თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულს ინსტიტუტი“	204877035	10.05.07	500	ს.შ.ო. №52
7	საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირს	211372593	15.05.08	1,800	ს.შ.ო. №41
8	შპს „ბაიტი“	211349192	11.04.08	1,620	ს.ზ. №05/01
სულ:				31,704	

2.4. კომუნალური გადასახადები

წარმოდგენილი ცნობის თანახმად, შესამოწმებელ პერიოდში უნივესტიტეტმა სულ კომუნალურ მომსახურებაზე დაფარა 5,189.8 ათასი ლარის ხარჯები, კერძოდ: ელექტროენერგია - 2,270,8 ათასი ლარი; გაზომომარაგება - 452,8 ათასი ლარი; წყალი - 2,170,6 ათასი ლარი. დასუფთავება - 102,0 ათასი ლარი; სატელეფონო მომსახურება - 193,6 ათასი ლარი.

2.4.1. სტუ-ს მიერ წარმოდგენილ იქნა ელექტროენერგიის, წყლის და გაზის ძირითად და მოიჯარე ორგანიზაციებში განლაგებული მრიცხველების მიხედვით დარიცხული გადასახდელი თანხები. აღნიშნულის მიხედვით ბუღალტერიის მიერ არ ხდება მოიჯარე ორგანიზაციებზე მოხმარებული კომუნალური დანახარჯების

მომხმარებელზე საკონტროლო-სალარო აპარატის მიერ ამობეჭდილი ჩეკის გაცემა (იმ შემთხვევის გარდა, როცა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით გაიცემა ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტი) ან საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს N669 ბრძანებით დამტკიცებული მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი.

დარიცხვის მეთოდით ანგარიშგება, ურთიერთობა რეგულირდება მხოლოდ მოიჯარის ფაქტიური გადახდების მიხედვით.

2.4.2. აღსანიშნავია, რომ წყლის მომწოდებელი კომპანიის მიერ 30 ივლისს აღებული მრიცხველის და აუდიტის ჯგუფის მიერ 2 დღით ადრე (28 ივლისს) აღებული მრიცხველის მაჩვენებლის გაანალიზებით დაფიქსირდა 175 კუბური მეტრი, 770 ლარის ხარჯი. აღნიშნული სხვაობა დაფიქსირდა მაშინ, როდესაც შენობაში სწავლა არ მიმდინარეობდა და თანამშრომელთა უმეტესი ნაწილი იმყოფებოდა შვებულებაში. შესაბამისად, დროის მოკლე მონაკვეთში დიდი მოცულობის კომუნალური ხარჯის დაფიქსირება წყლის არარაციონალურ დანაკარგებთანაა დაკავშირებული.

რეკომენდაცია: ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა გატარდეს ქმედითი ღონისძიებები მოხმარებული წყლის დანახარჯების აღრიცხვიანობისა და სველი წერტილებიდან წყლის დანაკარგების სრულად აღკვეთის მიზნით.

3. ძირითადი საშუალებები და მატერიალურ-ფასეულობათა მარაგები

2007 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სტუ-ს საბალანსო მონაცემების თანახმად, ერიცხებოდა 37,221,0 ათასი ლარის ძირითადი საშუალებები და სხვადასხვა მატერიალურ ფასეულობათა მარაგები. საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის (31.12.2009) მათი ბრუტო ღირებულება შემცირდა 5,227,2 ათასი ლარით და 31,993,7 ათასი ლარი შეადგინა.

3.1. ძირითადი საშუალებების ცალკეული პოზიციების მიხედვით რაოდენობრივი შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ძირითად საშუალებებს (კომპიუტერული ტექნიკის გარდა) არ ჰქონდა მინიჭებული უნიკალური საინვენტარიზაციო ნომრები, რის გამოც კონკრეტული ძირითადი საშუალების იდენტიფიცირება შეუძლებელია, შესაბამისად, შეუძლებელია საბუღალტრო ანგარიშებზე ასახული მონაცემების სისწორის და არსებული ნაშთებისა და ღირებულების დადასტურება.

რეკომენდაცია: უნდა მოხდეს სტუ-ს ძირითადი საშუალებების და მარაგების სრული ინვენტარიზაცია და შედეგად გამოვლენილი განსხვავებების ასახვა შესაბამის საბუღალტრო ანგარიშებზე. ძირითად საშუალებს უნდა მიენიჭოს უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი და განისაზღვროს ძირითადი საშუალების კონკრეტული მისამართი (ფაკულტეტი, დეპარტამენტი, აუდიტორია ან ოთახი).

3.2. ორგანიზაციის საწყობი, სადაც ხდება სხვადასხვა მატერიალურ ფასეულობათა მიღება – გაცემა და შენახვა, დროულად და სრულყოფილად არ წარუდგენს ანგარიშს აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტს, რის გამოც დაუზუსტებელია და არ არის შედარებული მატერიალურ ფასეულობათა ნაშთები ბუღალტერიასა და საწყობს შორის. შესაბამისად სრული ინვენტარიზაციის პროცედურის ჩატარება ვერ მოხერხდა.

რეკომენდაცია: სტუ-ს საწყობსა და ბუღალტერიას შორის უნდა მოხდეს ნაშთების ყოველკვარტალური ურთიერთშედარება. ასევე საწყობში არსებულ მარაგს უნდა მიენიჭოს საწყობის თაროს მისამართი. სულ მცირე წელიწადში ერთხელ ჩატარდეს საწყობის სრული ინვენტარიზაცია.

3.3 აღსანიშნავია, რომ სტუ-ს ბალანსზე აღირიცხება საქართველოში რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე განლაგებული ძირითადი საშუალებები. ასეთი ტიპის აქტივების აღრიცხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებლად და გადატანილ და აღრიცხულ იქნას გარე-საბალანსო ანგარიშებზე.

3.4 ბიბლიოთეკა

სტუ-ს ბიბლიოთეკას სააღრიცხვო მონაცემების მიხედვით აუდიტის პერიოდისთვის ბალანსზე აქვს 322,975 დასახელების 1,717,339 საბიბლიოთეკო ერთეული. საცავში ჩატარებული შემთხვევითი შერჩევით განხორციელებული შემოწმებისას დადგინდა რიგი რაოდენობრივი განსხვავებები. სტუ-ს მიერ არ ტარდება საბიბლიოთეკო ფონდის ინვენტარიზაციის პროცედურა, არ არის აღრიცხული და გამოყოფილი რარიტეტული საბიბლიოთეკო ფონდი.

რეკომენდაცია: უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს საბიბლიოთეკო ფონდის ინვენტარიზაცია. ფიზიკურად და მორალურად გაუფასურებული წიგნები უნდა ჩამოიწეროს ბიბლიოთეკის ბალანსიდან. ამასთანავე უნდა შეიქმნას კომისია, რომელიც იმუშავებს სტუ-ს საბიბლიოთეკო ფონდში არსებული რარიტეტული წიგნების იდენტიფიცირებაზე. უნდა შეიქმნას რარიტეტული წიგნების ფონდი და შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნას აღნიშნული წიგნების შენახვის, აღრიცხვისა და შენარჩუნების საკითხები.

3.5 მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტები (დიპლომები)

სტუ-ს სადიპლომო სექტორს 2007 – 2009 წლებში არ განუხორციელებია ნაშთების და მოძრაობის შედარება ბუღალტერიასთან, რის გამოც წლიური ნაშთების დაზუსტება და კორექტირება მოხდა აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში.

3.6 ძვირფასი ლითონები

სასწავლებლის ბალანსზე რიცხული ძვირფასი ლითონების სრული ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩნდა სხვადასხვა სახის სხვაობები, კერძოდ: ალმასის ქარგოლები–7 ექსპონატი და ძვირფასი ლითონი (პლატინა ალმასის) 4 ექსპონატი ჩამოწერილია (წარმოდგა აქტები), მაგრამ არ არის გატარებული სააღრიცხვო მონაცემებში. 45,9 გრამი გაცემულია დროებით ცდებისთვის (მოხსენებითი ბარათები). სხვადასხვა პოზიციაზე გამოვლინდა 14,6 გრამის დანაკლისი, რაც წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, გამოწვეულია ბუნებრივი ცვთვის დანაკარგებით, რაც ასევე არ აისახა სააღრიცხვო მონაცემებში. აღსანიშნავია, რომ სტრუქტურული კვლევების რესპუბლიკურ ცენტრში ძვირფასი ლითონის (პლატინა, ოქრო) 2 ექსპონატი – პლატინის ფირფიტა (16,364 გრ.) და ოქროს მავთული (3,5 გრ.) ადგილზე არ აღმოჩნდა.

აუდიტის აქტის გასაჩივრების წესი

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის ობიექტი უფლებამოსილია აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროს მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში, ქ.თბილისი წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი №96.